გილოცავთ სამშობლოს მაღალ ჯილდოს, რომელიც ყველა თაობის წილხვედრია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 81 (7142)

28 1982 წ. აპრილი. ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

✦

ჩვენი ხალისი,
ჩვენი სიმღერა
ჩასახლებულა
თბილისის მდგმურად
და ჩვენი გვარიც
იქ მოიგონეთ,
სადაც ქვითკირის
სიმტკიცე თქმულა...

✦

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

ქალაქ თბილისის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რევოლუციურ მოძრაობაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში ღვაწლისათვის, 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ქალაქის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის ქალაქი თბილისი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1982 წლის 27 აპრილი.



ფიზკულტურა — თბილისელთა ჯანმრთელობის სამსახურში

ნელი გურგენიძე,

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი

✦

ადამიანს ჯანმრთელობა აძლევს შემოქმედებითი და აღმშენებლობითი შრომის შეგრძნებისა და აღქმის საშუალებას. ამიტომაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას აქცევს ჯანმრთელობის საფუძველთა საფუძველს — ხალხის ფიზიკურ წრთობას.

ბოლო ათწლეული, რომელიც წარიმართა თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილების ცხოვრებაში განუხრელად გატარებისთვის მიზანსწრაფული მუშაობით, უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების წლებია. ამ პერიოდში მომხდარი ძირეული ძვრები შეეხო ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის განვითარებას. 430 ათასზე მეტი ადამიანია ჩაბმული ფიზკულტურასა და სპორტში. საწარმოსა და მშენებლობებზე, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში 1040 ფიზკულტურული კოლექტივია, მშრომელთა ფიზიკურ წრთობას ემსახურება 63 ათასი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, 2 ათასზე მეტი ფიზკულტურისა და სპორტის შტატიანი მუშაკი. 1981 წელს მომზადდა 56 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 148 სპორტის ოსტატი, 140 ათასი მასობრივი თანრიგის სპორტსმენი.

მასობრივ სპორტში რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებთა ჩაბმა თანდათან იზრდება. სულ უფრო სრულყოფილი ხდება მისი ფორმები. მოსახლეობის ფიზკულტურაში მიზიდვამ ახალი გაქანება და ძალა ჰპოვა 1980 წლის დეკემბრის შემდეგ, როცა თბილისის საქალაქო XXXVIII პარტიული კონფერენციის ტრიბუნიდან გაისმა მოწოდება: „გადავაქციოთ თბილისი მასობრივი ფიზიკური კულტურის ქალაქად“.

საქალაქო კომიტეტმა, პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა შეიმუშავეს ძირითადი მიმართულებანი კონკრეტული ღონისძიებების გეგმაში XXXVIII კონფერენციის მოწოდების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

პარტიის რაიონულ კომიტეტებში პარტიული კომიტეტების მდივნების მეთაურობით მუშაობენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საბჭოები, რომლებიც აკოორდინირებენ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას რეგიონში, ისმენენ ინფორმაციებს, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და სპორტული მუშაკებისთვის ფიზკულტურის თეორიული საფუძვლების გასაცნობად აწყობენ სემინარებს. საბჭოებმა შეძლეს დაქსაქსული მასობრივი შეჯიბრებების ერთ სისტემაში გაერთიანება, დააწესეს მკაცრი კონტროლი საცხოვრებელ ადგილებში მარტივი სპორტული ნაგებობების მშენებლობასა და რეკონსტრუქციაზე, რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებისა და სასწავლებლების სპორტული ბაზების ოპტიმალურ გამოყენებაზე, პარტიული კომიტეტების მუდმივი კონტროლის ქვეშ მოექცა სპორტსაზოგადოებებისა და სპორტკომიტეტების ხელმძღვანელთა საქმიანობა.

კონფერენციის დამთავრებისთანავე შემუშავდა და დაინერგა სოციალისტური შეჯიბრების სისტემა, რომელმაც მოიცვა სპორტული, ტურისტული და დოსააფის ორგანიზაციების ყველა რგოლი. საუკეთესო კოლექტივების დასაჯილდოებლად დაწესდა თბილისის საქალაქო აღმასკომის, საქართველოს პროფსაბჭოს, კომკავშირის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის საქალაქო სპორტკომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, გარდამავალი წითელი დროშები და ვიმპელები „ყველაზე სპორტული საწარმოო კოლექტივი“, „ყველაზე სპორტული სახლმმართველობა“, „ყველაზე სპორტული ეზო“, „ყველაზე სპორტული საამქრო“. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მუშაობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია გამაჯანსაღებელი მუშაობის ხარისხი, რომელიც განისაზღვრება რეგულარულად მოვარჯიშე ადამიანთა რიცხვით და მეცადინეობის გამაჯანსაღებელი ეფექტურობით. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც რამდენიმე თანრიგოსანი სპორტსმენი, ან ოსტატი ამა თუ იმ კოლექტივის გამარჯვებას და, შესაბამისად, მშვიდ ცხოვრებას უზრუნველყოფდა.

მეტად ყურადსაღებია, რომ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხები წყდება საწარმოო ამოცანების დონეზე. იგი შევიდა თბილისის, მისი ცხრავე რაიონის სოციალურ-ეკონომიური განვითარების გეგმაში. ზემოაღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ის, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ქალაქის რაიონებს შორის სოცშეჯიბრების პირობებში შეტანილია ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების მაჩვენებლები, ე. ი. შეჯიბრება შრომასა და სპორტში გახდა სერიოზული სოციალური ფაქტორი მთელი რაიონის, ნებისმიერი კოლექტივის ცხოვრებაში.

ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობის ასამაღლებლად დასახული ღონისძიებების ეფექტურობით პარტიული კომიტეტების ღრმა დაინტერესებამ აიძულა ის ხელმძღვანელები, რომლებსაც წინათ ჯანმრთელობისა და აქტიური დასვენების საქმე მეორეხარისხოვნად, მხოლოდ საზოგადოებრივი, სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის სფეროდ მიაჩნდათ, ძირფესვიანად გადაესინჯათ პოზიციები, შემობრუნებულიყვნენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის პრობლემებისკენ, ასწავლა მათ ამ პრობლემების დაყენება საწარმოო ამოცანების დონეზე.

(დასასრული მე-2 გვ.)

გვილოცავენ

მთელი აფხაზეთის, მზიური სოხუმის მშრომელები მთავრობის ამ მაღალ ჯილდოს ულოცავენ თბილისსა და დედაქალაქის ყველა მშრომელს, ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს. ეჭვი არაა, რომ ეს დიდი აღიარება ახალ-ახალი წარმატებებისათვის დარაზმავს თბილისის — ინტერნაციონალური ქალაქის — ყველა მშრომელს.

აფხაზეთის ასსრ სპორტკომიტეტი.

ლაჟვარდოვანი აჭარა, მისი ფიზკულტურელები, სპორტსმენები ესალმებიან საყვარელ თბილისს — ჩვენი ბათუმის უფროს ძმას და მოჭირნახულეს. ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები მუდამ ამაყობენ თბილისელთა მიღწევებით, თბილისელ სპორტსმენთა გამარჯვებებით საკავშირო თუ მსოფლიოს ხარბიელზე. მუდამ მაღლა გჭეროდეთ გამარჯვების დროშა, ზედ რომ დიდი ლენინის ორდენი კიაფობს.

აჭარის ასსრ სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ზია მამუჭაძე.

სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა სიხარულით შეიტყვეს საქართველოს დედაქალაქის დაჯილდოების ამბავი მთავრობის უმაღლესი ორდენით, დიდი ლენინის სახელს რომ ატარებს. მთელს ქვეყანაში ცნობილია თბილისელ მშრომელთა მიღწევები, თბილისის საუკეთესო სპორტსმენთა სახელები. ეჭვი არაა, რომ ძვირფასი ჯილდოს მიღება ამრავლებს დედაქალაქელთა გამარჯვებებს ცხოვრების ყველა სფეროში, ახალ სიხარულს და დიდებას მოუტანს თბილისსა და თბილისელებს!

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სპორტკომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის ორდენოსანი თბილისი — ფიზიკური კულტურის, დიდი სპორტული ტრადიციების ქალაქი

ფიზკულტურა — თბილისელთა ჯანმრთელობის სამსახურში

დასასრული

თბილისის XXXVIII პარტიული საქალაქო კონფერენციის შემდეგ გამოჩნდა მასობრივი ღონისძიებები სხვადასხვა ასაკის ადამიანებისათვის. ესენია ტრადიციულად ქცეული „ჯანმრთელობის", „სიჭაბუკის" სპარტაკიადები, წვევამდელთა, საწარმოო კოლექტივების, სპორტული ოჯახების შეჯიბრებები, ქალაქის ქუჩებში მოწყობილი მასობრივი კროსები და ესტაფეტები გაზეთების: „კომუნისტის", „თბილისის", „ვეჩერნი ტბილისის" პრიზებზე; „მხიარული სტარტები", მასობრივი ტურისტული ლაშქრობები და სხვა. კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ყოველწლიურად აპრილის დასაწყისში, ქალაქის სპორტული სეზონის გახსნა მძლეოსნური კროსით გაზეთ „პრავდის" პრიზებზე. ეს ტურნირი სულ უფრო მასობრივი და პოპულარული ხდება. ამის ნათელი დადასტურებაა ორი ციფრის 20000 და 80000-ის შედარება, რაც შესაბამისად მონაწილეთა შარშანდელი და წლევანდელი რაოდენობის მაჩვენებელია.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ აღზრდის ნებისმიერი პროცესი ბევრადაა დამოკიდებული იმ ადამიანთა შემოქმედებით უნარსა და ნიჭზე, ვისაც ეს საქმე აბარია. ამიტომ საქალაქო კომიტეტი, პარტიის რაიკომები დიდ ყურადღებას უთმობენ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება ამაღლებს მათ ავტორიტეტს, აჰყავს ისინი აღმასკომების განყოფილების გამგეების დონემდე. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი ვერ პასუხობდა დღევანდელ მოთხოვნებს. ამიტომ მოგვიხდა სპორტული ორგანიზაციების რაიონული რგოლების ზოგიერთი ხელმძღვანელის შეცვლა უფრო ახალგაზრდა, ენერგიული, პერსპექტიული მუშაკით.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურო ისმენს პარტიის რაიკომის ანგარიშს. პირველი მდივანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში საქმის ვითარებას გვაცნობს ციფრებითა და დიაგრამებით, გვაცნობს ფაქტებსა და მაგალითებს. ეს უკვე ტრადიცია გახდა. იცვლება რაიონები, მომხსენებელთა გვარები, მაგრამ თემა იგივე რჩება — სპორტული მოძრაობის მასობრიობა.

რაც შეეხება ბავშვთა სპორტს, იგი განსაკუთრებული საუბრის თემაა. სპორტი მოზარდს გამოუმუშავებს საქმიანობის ყველა სფეროსათვის აუცილებელ ისეთ უძვირფასეს ადამიანურ თვისებებს, როგორიცაა შრომისმოყვარეობა, მიზანსწრაფულობა, დისციპლინა, სოლიდარობის, კოლექტივიზმის გრძნობა, დასახული მიზნისკენ სწრაფვა.

სწორედ საბავშვო ბაღში, სკოლაში ეყრება საფუძველი ფიზიკური აღზრდის კულტურას. ბოლო დროს სკოლაში ფიზიკური აღზრდის განვითარებისთვის არაერთი ღონისძიება გატარდა. მოსწავლეთა განკარგულებაშია ბოლო წლებში აშენებული შესანიშნავი ნაგებობები და ბაზები — ლენინური კომკავშირის სახელობის საცურაო-სპორტული კომპლექსი, ყველა სკოლას აქვს სპორტდარბაზი და მოედნები, ბოლო ბოლო დროს აგებულთ — საცურაო აუზები, „საჭყუმპალაოები". გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში შეტანილია სავალდებულო დამატებითი საათი ფიზიკური ვარჯიშისთვის, ქალაქში მუშაობს სხვადასხვა პროფილის 62 სპორტული სკოლა. „მხიარულ სტარტებში" მოზარდებთან ერთად აქტიურად ებმებიან აღმზრდელები, სკოლის დირექტორები, სახალხო განათლების განყოფილების გამგეები.

ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში გამაჯანსაღებელი ფიზკულტურის დანერგვის მიზნით პარტიის საქალაქო კომიტეტმა უშუალოდ საცხოვრებელი სახლების ეზოებში, „საკუთარი ფანჯრების" ქვეშ, შექმნა ვარჯიშისათვის აუცილებელი პირობები. პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოიწონა საქარხნო რაიონის ინიციატივა, სადაც მსხვილმა სამრეწველო საწარმოებმა ახლომდებარე მიკრორაიონების შეფობა იკისრეს და საცხოვრებელი მასივების ეზოებში 100-მდე მარტივი ტიპის სპორტული ნაგებობა მოაწყვეს. მათ სხვა რაიონებმაც მიბაძეს, რის შედეგადაც ბოლო 2 წელიწადში ქალაქის საცხოვრებელ ადგილებში აშენდა 200-მდე სპორტული მოედანი. რესპუბლიკის სპორტკომიტეტის უშუალო მონაწილეობით პარტიის საქალაქო კომიტეტში შემუშავდა საცხოვრებელ ადგილებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სტრუქტურული სქემა-მოდელი. საშუალო და ხანშესული ასაკის ადამიანებისათვის ჩვენს ქალაქში შექმნილია „ჯანმრთელობის" ჯგუფები, რომლებშიც 67 ათასზე მეტი ადამიანი ვარჯიშობს. განსაკუთრებით პოპულარულია „გამარჯვებისა" და „პარტიზანთა" კულტურისა და დასვენების პარკებში, კუს ტბასა და თბილისის ზღვაზე მომუშავე ჯგუფები. პოპულარობის მიზეზი ცხადია: ბუნებრივი და კლიმატური პირობები, წყალსაცავები, დასერილი რელიეფი, მდიდარი ლანდშაფტი იზიდავს თბილისელებს და მთელი წლის განმავლობაში ფიზიკური ვარჯიშის შესაძლებლობას იძლევა.

ქალაქის შრომითი კოლექტივები ხშირად აწყობენ მასობრივ ტურისტულ ლაშქრობებს, ხორციელდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის გულმოდგინედ მოფიქრებული სისტემა.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ახალი ჩვევების შეძენის აუცილებელი პირობაა სისტემატური ზემოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს მის განმტკიცებას. ამ თეზისის მიხედვით პარტიის საქალაქო კომიტეტში დაიბადა იდეა, სისტემატურად, ყოველ კვირა დღეს ქალაქში შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომელიც ხელს შეუწყობს სპორტულ სარბიელებსა და მოედნებზე, ტურისტულ ბილიკებზე ადამიანთა მიზიდვას. ამ საქმის ორგანიზაციას სათავეში კვლავ პარტიული კომიტეტები, ქალაქის პარტიული ორგანიზაციები ჩაუდგნენ. და აი, 4 აპრილს ათასობით ადამიანმა დილიდანვე მიაშურა სტადიონებსა და სპორტულ მოედნებს. 100000 მონაწილე — ასეთია ჯანმრთელობის ამ საზეიმო დღის სტატისტიკა. ზეიმი მომდევნო კვირასაც გაიმართა... ამ იდეის ტრადიციად გადაქცევა რთული ამოცანაა, მაგრამ მიუღწეველი არ არის, ვინაიდან ყოველ კვირას ახალ-ახალ მიმდევრებს იძენს.

მაშ, მოდით ყველამ ერთად ვიზრუნოთ, XXXVIII პარტიული კონფერენციის მოწოდების — „გადავაქციოთ თბილისი მასობრივი ფიზკულტურის ქალაქად" განხორციელებისათვის.

„დინამო" — ჩვენი სიყვარული, ჯანმრთელობის, სპორტული დაოსტატების საამქრო

...**ძალიან** შემიყვარდა. პირველსავე დანახვით. მომწონს მის უზარმაზარ ჯამში მწყობრად ჩაბვეული ცისფერი რიგები, მოფრიალე ნაირფერი დროშები, ლაჟვარდ ცაში აჭრილი, ანდამატივით მიმზიდველი ტყავის ბურთი.

რა არ ახსოვს მის ტრიბუნებს, „დინამოს" მწვანედ მობიბინე ბალახს: ლეგენდარული ბასკების ისიდრო ლანგარასა და ლეოხარდო სილაურენის, ფრანგული ფეხბურთის სიამაყის ჟუსტ ფონტენისა და ვერცხლის წყალივით სხარტი ფორვარდის ტადეუშ სიზოვსკის, ელეგანტური ინგლისელი ცენტრალური თავდამსხმელის დერეკ კევანის, დაუღალავი იუგოსლაველი ოსტატების ზლატკო ჩაიკოვსკისა და სტეფან ბობეკის, სწრაფმავალი ლივერპულელის კევინ კიგანის ვირტუოზული თამაში და ზუსტი ძლიერი დარტყმები, ბასკი გრეგორიო ბლასკოს და ბრაზილიელი მახგას ვეფხისებური ნახტომები...

„დინამოს" მწვანე ხალიჩაზე მრავალჯერ გვიხილავს საბჭოთა ფეხბურთის ისეთი დიდოსტატები, როგორიცაა გრიგოლ ფედოტოვი და ვსევოლოდ ბობროვი, მიხეილ იაკუშინი და მიხეილ სემიჩასტნი, პეტრე და ნიკოლოზ დემენტიევები, ალექსანდრე პონომარიოვი და კონსტანტინე ბესკოვი, ედუარდ სტრელცოვი და ვალენტინ ივანოვი, სერგეი სალნიკოვი და ნიკიტა სიმონიანი, ვალერი ვორონინი და ვიქტორ პონედელნიკი, ალექსი ხომიჩი და ლევ იაშინი... რამდენჯერ მოუყვანივართ აღტაცებაში ჩვენს საფეხბურთო კერპებსაც — ბორის პაიჭაძესა და გაიოზ ჯეჯელავას, ალექსანდრე დოროხოვსა და ვლადიმერ მარღანიას, ავთანდილ ღოღობერიძეს და ვიქტორ პანიუკოვს, შოთა იამანიძეს და ვლადიმერ ბარქაიას, მიხეილ მესხსა და სლავა მეტრეველს, გივი ჩოხელსა და მურთაზ ხურცილავას, დავით ყიფიანს, მანუჩარ მაჩაიძეს, ალექსანდრე ჩივაძეს...

და განა მარტო ფეხბურთით ცხოვრობდა და ცხოვრობს თბილისის „დინამოს" სტადიონი, რომელიც მწყობრში ჩადგომის პირველივე დღიდან (1935 წლიდან) იზიდავდა თავის სწრაფ მძლეოსნურ ბილიკებსა და სექტორებში უძლიერეს საბჭოთა სპრინტერებს და სტაიერებს, მხტომელებსა და მტყორცნელებს.

...ჩრდილოეთ ტრიბუნაზე, ჭოკით ხტომის სექტორთან, ვზივართ სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატთან, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკთან, მძლეოსანთა ცნობილ მწვრთნელთან ბორის დიაჩკოვთან ერთად. მან ეს წუთია დაამთავრა მორიგი ვარჯიში რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონთან ჭოკით ხტომაში, 22 წლის სპორტის ოსტატ სერგეი ამოსოვთან.

— მე, როგორც ინჟინერმა, თავის დროზე მივიღე მონაწილეობა „დინამოს" ძველი სტადიონის მძლეოსნური სარბიელის დაპროექტებაში, — გვეუბნება სპორტის ცნობილი ვეტერანი — მახსოვს მაშინ, 1935 წლის ზაფხულში, როდესაც სტადიონზე მომთავრებული გვქონდა მხოლოდ პირველი იარუსი (მთლიანად „დინამოს" მშენებლობა 1937 წელს დასრულდა), ჩვენ პირველი დიდი შეჯიბრება — ამიერკავკასიის პირველობა ჩავატარეთ. მე მაშინ ჭოკით ხტომა და თარჯრბენი მოვიგე.

„დინამოზე" მრავალჯერ უსპარეზიათ „სპორტის დედოფლის" გამოჩენილ რაინდებს — რობერტ ლიულკოსა და სერგეი ლიახოვს, ნიკოლოზ ოზოლინს და ფეოდოსი ვანინს, ალექსანდრე პუგაჩევსკისა და ევგენი ბულანჩიკს, ალექსანდრა ჩუდინასა და ჰეინო ლიპს, ნიკოლოზ კარაკულოვსა და ვალერი ბრუმელს. აქ აიდგეს ფეხი შესანიშნავმა ქართველმა მძლეოსნებმა ელენე გოკიელმა და ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილმა, გაბრიელ ათახელაშვილმა, ლევან სანაძემ და რობერტ შავლაყაძემ და ბოლოს, ხომ სწორედ აქ ჩამოყალიბდა ჩვენი სპორტის მშვენება ნინო დუმბაძეც, რომელიც მთელი 20 წლის განმავლობაში უძლიერესი იყო მსოფლიოში. ბევრ გულშემატკივარს დღესაც ახსოვს 1952 წელი, როდესაც ამ სახელოვანი დიდოსტატის მარჯვენამ ბადრო 57,04 მეტრზე გაგზავნა — სარეკორდო ნიშანზე, რომელიც წლების მანძილზე მიუწვდომელი რჩებოდა მსოფლიოში.

თბილისელები თავიანთ მთავარ სტადიონზე ბოლო წლებში რამდენიმე დიდი მძლეოსნური ასპარეზობის მოწმენი გახდნენ (საკავშირო ჩემპიონატის, „პრავდის" პრიზის გათამაშების, სსრ კავშირისა და გდრ-ის მატჩისა და სხვა). ჩვენ ვამაყობთ, რომ სწორედ „დინამოზე" აჩვენა ორმა ვლადიმერმა — სიმაღლეზე მხტომელმა იაშჩენკომ და ჭოკით მხტომელმა პოლიაკოვმა — თავისი ფენომენალური შედეგები — 2.34 და 5.81, რაც მსოფლიოს რეკორდებს წარმოადგენდა. ვამაყობთ იმითაც, რომ ჩვენს სტადიონზე გამოდიოდნენ შესანიშნავი მძლეოსნები — კუბელი ალბერტო ხუანტორენა და მარიკა კოხი გდრ-დან.

ამ სტადიონზე გაიმართა კალათბურთელთა საერთაშორისო მატჩებიც აშშ-ის და საფრანგეთის გუნდებთან, როდესაც ფარები პირდაპირ ცენტრალურ სარბიელზე მოწყობილ ფიცარნაგზე აღიმართა...

„დინამოს" ახსოვს ბევრი ახალბედა ბიჭუნა თუ გოგონა სტადიონზე გაუბედავად რომ მოდიოდა, მერე კი, წლებთან ერთად დაოსტატებულნი, საქართველოს, ჩვენი ქვეყნის თუ მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებად გვევლინებოდა.

...ცხოვრება თავისი დაუოკებელი წინსვლით მუდამ სიახლეს, უფრო დიდსა და თანამედროვეს ითხოვს, „დინამოც", რომელიც წლების მანძილზე კეთილად გვემსახურებოდა, უკვე აღარ აკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნებს, ჩვენს მასშტაბებს, ჩვენს, თუ გნებავთ, სურვილებს — ისევე, როგორც ერთ დროს, ოციან წლებში პლეხანოვის პროსპექტზე კინოთეატრ „აპოლოს" (ახლანდელი „ოქტომბერი") გვერდით მდებარე „დინამოს" ძველი სტადიონი და აი...

1976 წლის 26 სექტემბერს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონმა — განახლებულმა, გალამაზებულმა, ევროპაში მართლაც ერთ-ერთმა უნიკალურმა სპორტულმა ნაგებობამ — კვლავ გულღიად გაუღო კარი სპორტსმენებსა და გულშემატკივრებს, თბილისელებსა და ჩვენი ქალაქის სტუმრებს. ახალი სტადიონი, ახლა ორჯერ მეტ მაყურებელს იტევს — 75.000. თუმცა, როგორც ფეხბურთის მოყვარულები ხუმრობენ, ადამიანის სხეულის შეკუმშვის წყალობით, მის ტრიბუნებზე 90-100 ათასიც შეიძლება მოთავსდეს...

ჩვენი გიგანტის მეორედ დაბადება განსაკუთრებით ფეხბედნიერი გამოდგა ქართული ფეხბურთისათვის. თბილისის „დინამომ" აქ ბევრი პასუხსაგები მატჩი მოიგო, მათ შორის ოფიციალური ევროპული ორთაბრძოლებიც. დინამოელებმა ორჯერ შემოურბინეს სტადიონის სარბენ ბილიკს საპატიო წრე საკავშირო თასით, გასული წლის მაისში კი ევროპის თასების თასის გამოჩენას მხურვალედ მიესალმებოდნენ აღტაცებული ტრიბუნები, პირველიდან 63-ე რიგამდე. ეს ქართული ფეხბურთის, ჩვენი სპორტის დიდი და დაუვიწყარი ზეიმი იყო...

— ახლო მომავალში ჩვენი სტადიონი კიდევ უფრო ლამაზი გახდება — გვეუბნება სპორტკომბინატ „დინამოს" დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სასიქადულო ქართველი ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე — გაფართოვდება მისი ტერიტორია, გამოიცვლება სარბენი ბილიკები, ერთი-ორად გაუმჯობესდება განათება, რეკონსტრუირებულ იქნება ელექტროტაბლო, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით სტადიონს გადმოეცა მის ტერიტორიაზე მყოფი, [illegible]ალსათვის ნაცნობი ძველი [illegible] ორსართულიანი შენ[illegible], რომელიც მეაბრეშუმეებს [illegible]. აქ ჩვენ განზრახული [illegible] მოვაწყოთ სასტუმრო, ფეხბ[illegible]ის მოყვარულთა კლუბი, სპო[illegible]ის მუზეუმი, ეგრეთწოდებული „ოლიმპიური დარბაზი" პრეს-[illegible]ფერენციების ჩასატარებლად, [illegible]მედროვე პრეს-ცენტრი, [illegible]რტული ბიბლიოთეკა, სა[illegible] ბლოკი და ა. შ.

სტადიონის [illegible]ლოეთ ტრიბუნის წინ მშენე[illegible]ები მოსაპირკეთებელ სამუ[illegible] აწარმოებდნენ, ამთავრე[illegible]ნენ ქვედლის ე. წ. კურსების [illegible] შელამაზებას.

— მალე ასეთ[illegible] მოპირკეთებას სამხრეთ [illegible]რიბუნაზეც შევუდგებით — გვ[illegible]ბნება „დინამოს" სტადიონის [illegible]ავარი ინჟინერი უშანგი ნო[illegible] — პარალელურად კი სახურ[illegible] შეკეთებას ვაწარმოებთ.

იქვე, მინდორთ[illegible] ძველი ნაცნობი ვახტანგ [illegible] შევნიშნეთ, რომელიც [illegible]სამი ათეული წელიწადია „დინა[illegible]ს" სტადიონზე მუშაობს. [illegible] მატჩის წინა დღეს გულდასმ[illegible] ამზადებდა დიდ სარბიელს, [illegible] მინდორს თეთრი საღებავ[illegible]

— წელს [illegible]ნსაკუთრებით კარგი გაზონი გვ[illegible]ს, მინდორიც სწორია და უნ[illegible] — შენიშნა იქვე მდგომმა სტა[illegible]ნის მთავარმა აგრონომმა [illegible] ხვედელიძემ — ახლა მინ[illegible]ის მოსავლელად საუკეთესო [illegible]ქნიკა გვაქვს, ეფექტური საკრე[illegible] მანქანები.

...2 ათას კაც[illegible] მეტი ვარჯიშობს თბილისის „[illegible]ნამოს" სტადიონზე ყოველდღ[illegible]რად. აქ მათ დილის 7 საათი[illegible] საღამოს 11 საათამდე შეხვდებ[illegible]. სტადიონზე დღეს სპორტის 14 [illegible]ახეობაა კულტივირებული. [illegible]დამით ვარჯიშობენ ფეხბურთ[illegible], კალათბურთის, ცურვის, ძალოსნობის, ტანვარჯიშის, ჰოკ[illegible]ის, ჭიდაობის სექციები. სულ უ[illegible] საინტერესო ხდება საერთაშორისო [illegible]ზიკური მომზადებისა და [illegible] მოყვარეთა ჯგუფების მე[illegible]ნეობა, რომელსაც გამოცდ[illegible]ტი ლიდია აგეევა [illegible] სათავეში.

— ჩვენი დე[illegible] აგერ აქვე სტადიონის შესას[illegible]ლთან მოთავსებულ დიდ [illegible] წერია — გვეუბნება აგეევა — იგი ოლიმპიადების სამშ[illegible]ლოში, ძველ ელადაში ყოფილა ამოკვეთილი ქვაზე 2,5 ათასი წ[illegible]ს წინათ.

ვკითხულობთ: „გსურს იყო ძლიერი — ირბინე, გსურს იყო ლამაზი — ირბინე, გსურს იყო ჭკვიანი — ირბინე".

აღარ გვიკვირს, [illegible]დესაც შორბენალთა შორის [illegible]თ 50-მდე [illegible] ახალ[illegible]რდა გოგონებიც ვნახეთ და 60-65 წლის ხანშესულნიც.

...მე ვიცნობ ს[illegible]რტის მოყვარულებს, რომლებ[illegible] თავისუფალ დროს მოდიან „[illegible]ნამოს" სტადიონზე მაშინაც [illegible], როდესაც იქ არაფერი არ [illegible]რდება, ისე, სტადიონის ჰაერი [illegible]მ გადაყლაპონ. არც არის გა[illegible]ვირი — ხომ გაგიგონიათ ერთ[illegible] ენამოსწრებული გულშემ[illegible]ივრის სიტყვები: „ცხოვრებ[illegible] საუკეთესო წუთები სტადიონ[illegible] ტრიბუნებზე გავატარე!"

დავუმატებდით: „სტადიონისა, რომელიც ჩვენ [illegible] გვიყვარს, სტადიონისა, რომე[illegible]ც ერთი ნახვით შეგვიყვარდა, სტადიონისა, ურომლისოდაც [illegible]წარმოგვიდგენია ჩვენი თავი, სტადიონისა, რომელიც ასე მოუ[illegible] თბილისს!"

[illegible]. ნოზაძე.

„ჩირაღდანი" — სპორტული ეზოა

...**ეზოში** შეხვალთ თუ არა, მაშინვე მანსარდისკენ გაგექცევათ თვალი. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება" — თბილად, სტუმართმოყვრულად გეგებებათ ლამაზი წარწერა და მის მიღმა მოთავსებული ბავშვთა ოთახი, საიდანაც ყოველთვის ისმის პატარების ჟრიამული.

ახლაც ბიჭუნებმა ამოირბინეს კიბეზე, ჩოგბურთის თამაში გვინდაო, მორიდებით ითხოვეს. პედაგოგ-ორგანიზატორი თამილა დიხამიძე მშობლიური ღიმილით, თბილად მიეგება თბილისის რკინიგზის I საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელებს — ვასიკო გელაძეს და მამუკა ჭარბაძეს.

— ჩვენს რაიონში უკვე ჩატარდა ქუჩების გუნდთა ასპარეზობა „ტყავის ბურთის" პრიზზე, — გვეუბნება 22-ე საბინაო-საექსპლოატაციო უბნის პედაგოგ-ორგანიზატორი, 3 მაისისთვის კი დაგეგმილი გვაქვს სარაიონო შეჯიბრება უბნებს შორის. ბავშვები დიდი ხალისით გამოდიან ამგვარ ასპარეზობაში, მოზრდილებიც არანაკლები სიამოვნებით მონაწილეობენ, მაგრამ ეს მხოლოდ ფეხბურთს ეხება. ამას წინათ ჩატარებულ მასობრივ ველოგადარბენაში კი VIII კლასის ზევით მოსწავლეების გამოყვანა ცოტა გაგვიჭირდა.

გასული წლის დეკემბერში აქ ომარ ფხაკაძის კლუბიც გაიხსნა. პატარები კვალიფიციური მწვრთნელების დახმარებით ეუფლებიან ველოსპორტს. აქვეა მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის, მინი-ფეხბურთის სექციები. ყოველ არდადეგებზე განსაკუთრებული გამოცოცხლებაა კამოს ქუჩა № 79-81 კორპუსის სპორტულ ეზო „ჩირაღდანში" — დილიდან საღამომდე თამაშობენ ბავშვები კალათბურთს, ფრენბურთს, ფეხბურთს...

— 4 აპრილს, როცა ჩვენთან დიდი სპორტული დღესასწაული ჩატარდა, ომარ ფხაკაძემ ბავშვებს საჩუქრად გადასცა ის სურათები, მისი სახელობის კლუბის გახსნის დღეს რომ გადავიღეთ, — გვეუბნება ვასიკო გელაძე.

— ძველი ველოტრეკი ყოველდღე 12-დან 3 საათამდე გვემსახურება, კვირა დღეს კი დილიდან საღამომდე ჩვენს განკარგულებაშია, — განაგრძობს მამუკა ჭარბაძე. — მაგრამ მე და ვასიკოს ფეხბურთი უფრო გვიყვარს და სპეციალიზებულ სკოლაშიც დავდივართ.

— სკოლას, რომ დაამთავრებთ, სად აპირებთ სწავლის გაგრძელებას და რა ადგილს დაუთმობთ სპორტს? — ვეკითხები ბიჭებს.

— პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, — თითქმის ერთდროულად მპასუხობენ ისინი. — სპორტს ინსტიტუტშიც ვუერთგულებთ, ყოველდღე ვივარჯიშებთ, ჩვენი სახლის წინ ხომ მშვენიერი სპორტული ეზოა...

ბევრი პრობლემა და თავსატეხი აქვს პედაგოგ-ორგანიზატორს — ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს მიკრორაიონში მცხოვრები-არც ერთი მოზარდი, უნდა იცნობდეს ყველას ოჯახს, იცოდეს ბავშვის აკადემიური მოსწრების შესახებ, ბავშვები დააინტერესოს და აიყოლიოს, რაც მთავარია, მიზანმიმართულად, პედაგოგიური ალღოთი იმუშაოს ეგრეთწოდებულ ძნელადაღსაზრდელებთან.

— მიკრორაიონში 15 ძნელადაღსაზრდელი ბავშვია, — გვეუბნება თ. დიხამიძე, — ზოგს მშობლები არ ჰყავს, ზოგის დედმამა გაშორებული არიან, ზოგს ორივე ჰყავს, მაგრამ ბავშვის აღზრდა მაინც ვერ მოუხერხებია. ასეთი მოზარდები თავისებურ, განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. სპორტი ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა გამოსწორების ყველაზე კარგი საშუალებაა — აქ იხარჯება მოზარდის მოზღვავებული ენერგიის დიდი ნაწილი და ქუჩისკენ აღარ გაურბის თვალი. ამიტომ ვცდილობთ რომელიმე სექციაში ჩავაბათ ისინი და სასურველ შედეგსაც ვაღწევთ.

— წეღან გულისტკივილით აღნიშნეთ, ველოგადარბენაში უფროსი ასაკის მოსწავლეების ჩაბმა ვერ მოვახერხეთო. რატომ ხდება ასე და როგორ გესახებათ ამ სიძნელის დაძლევის გზა? — ვეკითხებით თ. დიხამიძეს.

— ჩვენს მიკრორაიონში არ არის ეზო, სადაც სპორტსმენი, ფიზკულტურის მასწავლებელი ან ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი არ ცხოვრობდეს. მათი ჩაბმა ამ დიდ და სასიკეთო საქმეში, ალბათ, კეთილ ნაყოფს გამოიღებდა. მოზრდილებს ერიდებათ მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა და თუ მათ უფროსები მისცემენ მაგალითს, დარწმუნებული ვარ, სირცხვილი და უხერხულობა გაქრება.

...ვათვალიერებთ ბავშვთა ოთახის იმ კუთხეს, რომელიც მთლიანად სპორტს და სპორტსმენებს აქვს დათმობილი. გემოვნებით გაფორმებული ფოტოსტენდი ქართველ სპორტსმენთა დიდ გამარჯვებებს შეგვახსენებს.

ყოველდღე ასეა აქ, ბავშვები ხალისით შემოდიან მათთვის განკუთვნილ ოთახში და მზრუნველი პედაგოგ-ორგანიზატორის მეთვალყურეობით თამაშობენ, ერთობიან. იანვარში ჩატარებულმა სპორტული ოჯახების შეჯიბრებამ საყოველთაო სიხარული გამოიწვია და გვინდა კიდევ ერთი მსგავსი ღონისძიება ჩავატაროთ, — გვითხრეს დამშვიდობებისას.

ნ. ჯოხარიძე.

ვინ იყო დედაქალაქის პირველი ჩემპიონი?

სათავესთან

ეს იყო 1926 წლის გაზაფხულზე. თბილისში პირველად მოეწყო მასობრივი საჭადრაკო შეჯიბრება, რომელშიც 600-ზე მეტმა ქალმა და კაცმა მიიღო მონაწილეობა. თამაშის მოყვარულნი იმდენი აღმოჩნდნენ, რომ საქართველოს პროფკავშირების იმდროინდელი სახლის დარბაზმა (ამჟამად სასტუმრო „თბილისის" რესტორანი) ძლივს დაიტია. მონაწილენი საპაექროდ თავიანთი ჭადრაკებით მოდიოდნენ.

— ჩემი მშობლები არცთუ ურიგოდ თამაშობდნენ, ამიტომ ვთხოვე მათაც მოესინჯათ ძალა. მამა სწრაფად გამოეთიშა შეჯიბრებას. დედა ბოლომდე იბრძოდა და გაიმარჯვა კიდეც, — გაიხსენა ცნობილმა ვეტერანმა ძალოსანმა, სპორტის ოსტატმა და საერთაშორისო არბიტრმა კოტე ზაუტაშვილმა.

ამ დიდმა მასობრივმა შეჯიბრებამ ფართო საზოგადოებას გააცნო ნიჭიერი მოჭადრაკეები ელენე ზაუტაშვილი, ვარვარა ზარგარიანი, ჰენრიხ კასპარიანი და სხვები. იმავე წელს სათავე დაედო თბილისის ვაჟთა, ხოლო 1927 წელს ქალთა პირველობების გამართვის ტრადიციას.

ელენე ზაუტაშვილმა თბილისის I ჩემპიონატშიც გაიმარჯვა. ეს უკვე სენსაცია აღარ იყო. პირველი ჩემპიონის თამაში საერთო მოწონებით სარგებლობდა. სასიქადულო ქართველი მოჭადრაკის ვ. გოგლიძის სიტყვით, ელენე კარგად ერკვეოდა რთულ პოზიციებში, გაბედულად წარმართავდა იერიშს.

ელენე ტატიშვილი (1888-1948) ჭადრაკს 19 წლისა დაეუფლა. მაშინ ვენის (ავსტრია) უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. სწორედ აქ დაუკავშირა მან თავისი ცხოვრება გიორგი ზაუტაშვილს (1888-1958), რომელიც ჭადრაკის დიდი მოყვარული გახლდათ. სამშობლოში დაბრუნებამდე ელენე ხშირად ეპაექრებოდა ქართველ და უცხოელ კოლეგებს. მერე, როცა ორი შვილის დედა გახდა, სამისოდ დრო აღარ რჩებოდა, თუმცა ქალთათვის ტურნირი მაინც არ იმართებოდა. ამიტომ კმაყოფილდებოდა შინ ნაცნობ-მეგობრებთან პაექრობით.

პირველმა თვალსაჩინო გამარჯვებამ დიდი სიხარული მოუტანა ელენე ზაუტაშვილს. იგი ხალისით მონაწილეობს ტურნირებში, მაგრამ მალე მძიმე ავადმყოფობამ დარია ხელი და ჭადრაკს მთლიანად ჩამოაცილა. 1930 წლიდან გარდაცვალებამდე იგი სარეცელს იყო მიჯაჭვული.

— დედას ავადმყოფობის დროსაც ჭადრაკისადმი ინტერესი არ განელებია. გაფაციცებით ადევნებდა თვალს ქართველ მოჭადრაკეთა გამოსვლებს, უხაროდა მათი გამარჯვებები. ჩვენ ვუკითხავდით გაზეთებს და მუდამ საჭადრაკო ცხოვრების კურსში გვყავდა, — იხსენებს ელენეს ქალიშვილი ვ. სარაჯიშვილის სახელობის საშუალო სპეციალური მუსიკალური სკოლის პედაგოგი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი თინათინ ზაუტაშვილი.

თბილისის პირველი ჩემპიონის სახელი მუდამ მოგვაგონებს ქართველ მოჭადრაკე ქალთა შესანიშნავი მოძრაობის იმედიან გარიჟრაჟს.

თ. გიორგაძე.

• • •

სურათზე: თბილისის პირველი ჩემპიონი ელენე ზაუტაშვილი. (სურათი გადაღებულია 20-იან წლებში).

1972 - 1982 წლებში აშენდა

უკანასკნელ ათწლეულში თბილისში ათობით დიდი და გაცილებით მეტი სხვადასხვა ზომის სპორტული ნაგებობა აიგო, გამრავლდა მოედნების რაოდენობა დედაქალაქის საცხოვრებელ ადგილებში. აი, მათგან მთავარი: მარცხნიდან — **ჭადრაკის სასახლე**, მწყობრში ჩადგა 1972 წელს; **ცენტრალური ველოდრომი** — 1975 წელს; **ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი** — 1978 წელს; **საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლე** — 1978 წელს; **„შრომითი რეზერვების" სპორტული კომპლექსი** — 1980 წელს; **„დინამოს" საწვრთნელი ბაზა დიღომში** — 1980 წელს; **სპორტკომპლექსი „ბურევესტნიკი"** — 1981 წელს; **თბილისის განათლების სამმართველოს ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტული სკოლა დიღომში** — 1981 წელს; **თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სპორტული კომპლექსი გლდანის მასივში** — 1982 წელს.

ე. ხუცურაულის ფოტოები.



გვილოცავენ

ჩვენი გაზეთის მთელი კოლექტივი მხურვალედ ულოცავს ქართველ ჟურნალისტებს, ქართველ სპორტსმენებს, მთელ ქართველ ხალხს დამსახურებულ აღიარებას — თქვენი შესანიშნავი რესპუბლიკის დედაქალაქის დაჯილდოებას მთავრობის დიდი ჯილდოთი.

აზერბაიჯანულ გაზეთ „სპორტის" რედაქცია.

ამ სასიხარულო დღეს — საქართველოს დედაქალაქისადმი ლენინის ორდენით დაჯილდოების დღეს — ჩვენც თქვენთან ერთად ვზეიმობთ, გვახარებს თქვენი ყველა გამარჯვება და წარმატება. გულითადად გილოცავთ ამ დიდ და დამსახურებულ ჯილდოს.

გაზეთ „ჰაიასტანი ფიზკულტურნიკის" რედაქცია.

მინდა მეც, გიორგიევსკელმა ქართველმა, მივულოცო ჩემს საყვარელ თბილისს დიდი ჯილდო. ამ სასიხარულო დღეებში თქვენთან ვარ სულითა და გულით. გამარჯვებებით გვლოს ჩემო მშობლიურო თბილისო.

ალექსანდრე რეხვიაშვილი,
მსაჯი მოტობურთში.
გიორგიევსკი.

კრასნოიარსკში მცხოვრებ ქართველთა სახელით გულითადად ვულოცავ თბილის-ქალაქს ლენინის ორდენს, რომელიც ამიერიდან მის დროშას დაამშვენებს. გული სიამაყით ავევსებოდა, როდესაც ჩემი თანამემამულენი წარმატებით გამოდიოდნენ კრასნოიარსკში ზამთრის V საკავშირო სპარტაკიადის სტარტებზე; კეთილმეგობრობის, თავაზიანობის, გულისხმიერების მაგალითს უჩვენებდნენ ციმბირელ მშრომელებს.

დიმიტრი მინდიაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.
კრასნოიარსკი.

დღეს, როდესაც საქართველოს დედაქალაქს მიეკუთვნა მთავრობის დიდი ჯილდო, სხვებთან ერთად მეც განსაკუთრებულ სიხარულს განვიცდი. მოსკოველი ქართველები გულთბილად გესალმებიან, ჩვენო მშობლიურო ქალაქო. მიხარია, რომ შენს მიწას მეც დავამატე მცირე ნაკვალევი — კონსულტაციას ვუწევდი თბილისის „დინამოს" სტადიონის მწვანე საფარის შემქმნელთ.

გივი აბრამიშვილი,
მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მთავარი აგროსპეციალისტი.

მეც თბილისელი ვარ. აქ „დავიბადე" დიდი ომის მრისხანე 1942 წელს, როცა საბჭოთა მოქალაქის პასპორტი მივიღე. იმ დღიდან დედა-თბილისის სიხარულისა და სატკივარის მოზიარე ვარ. ვხარობ, რომ თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთ საჭადრაკო ცენტრად გადაიქცა. ქართულ ჭადრაკს სამაყო წარსული და შესანიშნავი მომავალი აქვს.

ვულოცავ ყველა თბილისელს, ჩემს მეგობარ მოჭადრაკეებს მთავრობის უმაღლეს ჯილდოს, დაე, გახდეს იგი სპორტშიც, კერძოდ, ჭადრაკში ახალი სახელოვანი გამარჯვებების საწინდარი.

სალო ფლორი,
საერთაშორისო დიდოსტატი.
მოსკოვი.

● ჭადრაკი

სამი ლიდერი

ლონდონის დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში 10 ტურის შემდეგ ლიდერობენ ა. კარპოვი (სსრ კავშირი), უ. ანდერსონი (შვეცია) და ლ. პორტიში (უნგრეთი).

X ტურში პორტიში, რომელიც აქამდე წინ იყო, დამარცხდა ი. ტიმანთან (ჰოლანდია), კარპოვმა სძლია ინგლისელ ჯ. ნანს, ხოლო ანდერსონმა — ამერიკელ ლ. კრისტიანსენს.

ბ. სპასკი დაუზავდა ე. გელერს (ორივე — სსრ კავშირი), ე. მაილსი — ჯ. სპოლმენს. დ. მესტელმა სძლია ნ. შორტს (ყველა— ინგლისი). გადაიდო ლ. ლიუბოევიჩ (იუგოსლავია) ი. სეირავანის (აშშ) პარტია.

● ფეხბურთი

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 28 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფახთაქორი“	7	4	2	1	8—6	10
„არარატი“	7	4	1	2	9—9	9
„სპარტაკი“	6	3	2	1	6—2	8
„ქაირათი“	7	3	2	2	9—8	8
„დინამო“ მნ.	6	3	2	1	6—6	8
„დინამო“ კ.	5	3	1	1	10—3	7
„ყუბანი“	7	3	1	3	12—11	7
„ზენიტი“	6	2	3	1	4—2	7
„დინამო“ თბ.	4	3	0	1	9—5	6
„მეტალისტი“	6	2	2	2	6—5	6
„დნეპრი“	6	2	2	2	6—8	6
„ნეფთჩი“	6	2	1	3	7—7	5
ცსკა	6	2	0	4	5—9	4
„ტორპედო“ ქ.	6	1	2	3	6—8	4
„ჩერნომორეცი“	6	1	2	3	2—4	4
„ტორპედო“ მ.	6	1	2	3	3—6	4
„დინამო“ მ.	7	1	2	4	5—11	4
„შახტიორი“	6	0	3	3	5—8	3

• • •

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი ალმა-ათაში, ადგილობრივ „ქაირათთან“, ჩაატარეს შემდეგი შემადგენლობით: ქანთარია, გვაძაბია, ჭილაია, ჭელიძე, გ. მაჩაიძე, კოროლაიძე, მ. მაჩაიძე, ქვირია (ჟორდანია), მეგრელაძე, დარჯახია, ბურკაძე (ჩქარეული). გააფრთხილეს ჭილაია.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს ქუთაისელებმა — 3:1. ბურთები გაიტანეს ჟორდანიამ, თოდიძემ და ფანჩულიძემ.

ლანჩხუთის „გურიისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს ლოკომოტიველებმა — 2:1.

თბილისის „დინამოსა“ და კრასნოდარის „ყუბანის“ მატჩში, რომელიც თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 3:1, დინამოელებმა სსრ კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში შედეგიანობით გადააცილეს 1900-იან ზღვარს. ახლა მათს ანგარიშზეა 1901 გატანილი ბურთი და ამ მაჩვენებლით ისინი მესამე ადგილზე იმყოფებიან მოსკოვის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შემდეგ.

თ. მიქელაძე.

ს უ რ ა თ ზ ე: 100-იანთა კლუბის ახალი წევრი, თბილისელი რ. შენგელია (წინა პლანზე, ზოლებიან მაისურში) უტევს კრასნოდარელთა კარს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

II ლიგა

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შირაკი“ (ლენინაკანი).

მატჩი დამთავრდა „შირაკის“ გამარჯვებით — 2:1.

საუკეთესო ათეულში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით მოეწყო ნორჩ ფეხბურთელთა მწვრთნელების საკავშირო კონკურსი, სადაც გამოვლინდა რეზერვებთან მომუშავე საუკეთესო მწვრთნელთა ათეული.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა ნორჩ ფეხბურთელებთან მომუშავე მწვრთნელთა საუკეთესო ათეულში შეიყვანა თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის მწვრთნელი სპორტის ოსტატი ნ. ლექავა.

„ოქროს“ დუეტი

ბუდაპეშტში დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატი. საბჭოთა ქალების წყვილმა ი. კოვალენკომ და ფ. ბულატოვამ ნახევარფინალში დაამარცხეს ინგლისელები და გადამწყვეტი შეხვედრა ჰოლანდიელებთან ბ. ფრიზეკოოპსა და ს. დე კრუიფთან ჰქონდათ. ფრიზეკოოპის ავადმყოფობის გამო გამარჯვება საბჭოთა წყვილს მიენიჭა. ვ. პოპოვამ კიდევ ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა: ერთი პირად ტურნირში, მეორე —შერეულ წყვილთა ასპარეზობაში (ი. პოდნოსოვთან ერთად). ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ფრიზეკოოპი, შემდეგ მან პოლონელ ა. გრუბასთან ერთად გაიმარჯვა შერეულ წყვილთა ასპარეზობაში. ვაჟთა ფინალში „ოქრო“ მოიგო ა. აპელგრენმა (შვეცია). წყვილებში უძლიერესნი იყვნენ იუგოსლაველები დ. შურბეკი და ზ. კალინიჩი.

● სსრ კავშირის ჩემპიონატი ავტოსპორტში



გზის მესამედი

კვირას რუსთავში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი სამი კლასის მანქანებით რბოლაში. მომდევნო ასპარეზობანი ივნისის პირველ ნახევარში მოეწყობა კიევში, ხოლო მეორე ნახევარში რიგაში ჩატარდება და პრიზიორთა ვინაობაც მაშინ გაირკვევა.

ტურნირის ამგვარი ფორმულა განაპირობებს ბრძოლების სიმწვავეს ყველა ეტაპზე. საკმარისია I-II ეტაპზე მრბოლელმა ყველას აჯობოს, რომ იგი ჩემპიონია.

ბრძოლაში პირველნი „ვოსტოკის“ კლასის მანქანები ჩაებნენ. აქ იყვნენ ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ა. მედვედჩენკო (უკრაინა), მეორე პრიზიორი ე. ლინდგრენი, მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოწრთობილი სპორტსმენები. მათ ტიტულებს როდი შეუშინდა თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ა. წერუაშვილი. იგი ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდა და 29 მეტოქესთან დავაში V შედეგი აჩვენა, რისთვისაც ჩემპიონატის ჩათვლაში 72 ქულა დაიმსახურა. ეს კარგი განაცხადია. პირველობა კი არავის დაუთმო მედვედჩენკომ. მომდევნო ადგილებზე არიან ლინდგრენი და ესტონელი რ. სარაპი.

მერე სარბიელზე „ჟიგული“-1300 (VII კლასი) ფორსირებულძრავიანი მანქანები გავიდნენ. 26 წრე ყველაზე ადრე გაიარა მოსკოველმა ოსტატმა ა. გრიგორიევმა. უკვე V წრის შემდეგ იგი უახლოეს მდევარს, შარშანდელ ჩემპიონს, მ. ბოგატირიოვს (რსფსრ) 10 წამით უსწრებდა. ეს კი საკმაოდ სოლიდური დროა, როცა მანქანები საათში 123-127 კილომეტრის სისწრაფით მიჰქრიან. აქ საქართველოს ორი წარმომადგენელი, ორი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. სუხიშვილი და ა. დემურიშვილი გამოდიოდნენ. სუხიშვილმა IX შედეგი აჩვენა და ორი საფეხურით აჯობა თანაგუნდელს, რომელმაც ასევე ჩემპიონატის ჩასათვლელი ქულები დაიმსახურა.

ყველაზე საინტერესო გამოდგა III ფორმულის მანქანებით რბოლა. შარშანდელი ჩემპიონის მოსკოველ ვ. კლიმანოვის, მეორე პრიზიორის ლენინგრადელ მ. ლვოვის, მესამე ადგილის მფლობელ ესტონელი ტ. ნაპას, ქვეყნის ექს-ჩემპიონის თბილისელ გ. დგებუაძისა და სხვა მეტოქეთა შეუპოვრობაზე ნათლად მეტყველებს ის, რომ ისინი უმეტესად საათში 143-145 კმ სისწრაფეს ავითარებდნენ. საბოლოოდ 28 წლის ტომას ნაპამ 105 კილომეტრის გავლას 44.45,2 მოანდომა და 23 წამით ჩამოიტოვა ა. პოტეხინი და ა. დმიტრიევი (ორივე — მოსკოვი). დიდხანს მესამე მიდიოდა თბილისის მსუბუქი ტაქსების № 3 კანტორის ცვლის მექანიკოსი, 44 წლის ოსტატი გ. დგებუაძე, მაგრამ საბოლოოდ მეექვსემ დაამთავრა შეჯიბრება — 46.22,1.

— ჯერ ყველაფერი წინაა, კიდევ შეიძლება რომელიმე ხარისხის მედლის მოპოვება, — გულს არ იტეხს ვეტერანი სპორტსმენი.

ქ. ჯიმშელაძე.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — გ. დგებუაძე დისტანციაზე; ქვევით — „ჟიგულები“ დაიძრნენ.

რ. ქვარცხავას ფოტოები.

● თავისუფალი ჭიდაობა

მედლები განაწილდა

თბილისის განათლების სამმართველოს ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტსკოლის დარბაზში დამთავრდა პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში.

ნ. როსტომაშვილმა (82 კგ, „განთიადი“) IV, V და VI წრეში წმინდად დაამარცხა რ. გეიდაროვი („ნეფთჩი“), თანაგუნდელი თ. მაისურაძე, გ. სიდოროვი („ტრუდი“) და ფინალში გავიდა. მეორე ფინალისტი, მინსკელი ვ. კარენკოვიც ასევე წარმატებით იბრძოდა წინასწარ შეხვედრებში — მის აქტივშიც 6 მოგება იყო. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ სწორედ ეს მოჭიდავეები დადგნენ. მართალია, კარენკოვი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრია, მაგრამ როსტომაშვილის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა — ქართველმა ფალავანმა ამ შეჯიბრებაზე უფრო ძლიერ მეტოქეებსაც აჯობა. მეორე წუთზე როსტომაშვილმა მოადუნა ყურადღება და მკაცრად დაისაჯა — წმინდად დამარცხდა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან ფინალში გავიდა აგრეთვე განთიადელი კ. გელაშვილი (90). მან წინასწარ შეხვედრებში წმინდად მოუგო ა. მურადიანსა („სპარტაკი“) და ა. კრინიცინს („ტრუდი“), ხოლო ქულებით დაამარცხა ს. კოლესნიკოვი („ტრუდი“) და ვ. მალძიგოვი („კრასნაია ზნამია“), სამწუხაროდ, გელაშვილმა ფინალში ვერაფერი გააწყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ე. ფატიკოვთან („ბურევესტნიკი“) და II ადგილზე დარჩა.

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა შ. ფირუზაშვილმა („განთიადი“). საუკეთესო ექვსეულში მოხვდნენ, აგრეთვე, გ. ზოზრაშვილი („სპარტაკი“), თ. მაისურაძე („განთიადი“), დ. გიგაური („ბურევესტნიკი“), გ. ცეცაძე, გ. ტყეშელაშვილი და ზ. ბერაია (სამივე — „განთიადი“), ჩვენი რესპუბლიკის ოთხმა წარმომადგენელმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ტექნიკური შედეგები:

48 კგ. ნ. აივაზიანი („ბურევესტნიკი“), ვ. არაქელიანი („სევანი“), რ. მამედოვი („სპარტაკი“).

52 კგ. ვ. პავარაზდნიუკი („ავანგარდი“), ა. მურადოვი („ზაზმეტი“), ა. კუზმინი („ლოკომოტივი“).

57. ა. სავინოვი („ტრუდი“), ბ. ტუგანოვი („ლოკომოტივი“), ვ. მირზახანიანი („სევანი“).

62. ა. მინასიანი („აშხატანკი“), გ. მუსტაფოვი („ზენიტი“), შ. ფირუზაშვილი („განთიადი“).

68. ა. პოდოსტოვი („ტრუდი“), ა. კიდანოვი, ვ. ნაუმოვი (ორივე — „ბურევესტნიკი“).

74. რ. მინიშაევი („ზენიტი“), ა. ბაგრამიანი („აშხატანკი“), ჟ. იუნოვი („მეხნატი“).

82. ვ. კარენკოვი („ბურევესტნიკი“), ნ. როსტომაშვილი („განთიადი“), ვ. იალკოვი („უროჟაი“).

90. ე. ფატიკოვი („ბურევესტნიკი“), კ. გელაშვილი („განთიადი“), ს. კოლოსტნიკოვი („ტრუდი“).

100. ა. ნესკარაშევი („ლოკომოტივი“), ვ. გრიშანოვი („ბურევესტნიკი“), ა. დადაიანი („აშხატანკი“).

მძიმე წონა. ნ. კუჩერი („ავანგარდი“), ა. ხაიმოვიჩი („ზაზმეტი“), ს. ციგანკოვი („ლოკომოტივი“).

ო. შოშიტაშვილი,
სპორტის ოსტატი.

● ველოსპორტი

საგზაოტკეცილო ველორბოლაში სსრ კავშირის ნაკრები გუნდი, რომელიც მშვიდობის ველორბოლისთვის ემზადება, ჩაება ტრადიციულ „ჯირო დელლო რეჯიონის“ (იტალია) ტრადიციულ შეჯიბრებაში. პირველ ეტაპზე წარმატებას მიაღწია ტაშკენტელმა შ. ზაგრეტდინოვმა — 2:34.30. გუნდური ჩათვლაშიც საბჭოთა სპორტსმენები დაწინაურდნენ. ასპარეზობაში 22 ქვეყნის ველოსიპედისტები მონაწილეობდნენ.

პანორამა

● ხელბურთი

მოსკოვში, ცსკა-ს უნივერსალურ სპორტულ დარბაზში დაიწყო დასკვნითი ტურნირი ხელბურთელ ვაჟთა იმ 6 უძლიერესი კოლექტივისა, რომლებიც ქვეყნის XXI ჩემპიონატის მედლებისთვის იბრძვიან. ამ შეჯიბრების ორი დღის ტექნიკური შედეგები ასეთია: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „კუნცევო“ (მოსკოვი) 27:24, ასკ (მინსკი) — „ცელტნიეკსი“ (რიგა) 37:28, ცსკა— ზიი 26:26, ცსკა —„კუნცევო“ 32:22, ასკ (მინსკი) — ზიი 28:29, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ცელტნიეკსი“ 29:22.

მესამე ტურში შეჯიბრების ლიდერმა ცსკა-მ სძლია „ცელტნიეკსს“ — 28:20. მინსკის არმიელებმა მოუგეს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს — 28:23, ხოლო ზიი-მ დაამარცხა „კუნცევო“ — 29:28.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები —93-93-81; ფოტოლაბორატორია—93-97-98; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
უე 09201
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 .